ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 37 845

05/06/2017

ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №84-ში მდებარე 1709.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული 598.00 კვ.მ შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.239) პრივატიზების შესახებ ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონის გამოცხადების თაობაზე

ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №84 მდებარე 1709.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული 598.00 კვ.მ შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.239) პრივატიზების შესახებ გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონზე არ მოხდა აღნიშნული ქონების განკარგვა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფსასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების" მე-2 მუხლის ,,ნ"-ქვეპუნქტის მიხედვით, ვადაგაგრძელებული აუქციონი არის აუქციონი, რომელიც იმართება იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა და ამ ქონების აუქციონზე გატანა ხდება იმავე პირობებით და ფასით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ"–ქვეპუნქტის ,,დ.ა"–ქვეპუნქტის, ,,ე"–ქვეპუნქტის ,,ე.ე"–ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფსასურის განსაზღვრის და ანგარიმსწორების წესები"-ს მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის განსაზღვრისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 სექტემბრის №38 162 განკარგულების მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.1. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №84-ში მდებარე 1709.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული 598.00 კვ.მ შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.239) პრივატიზება განხორციელდეს ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.2. ვადაგაგრძელებულ ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №84-ში მდებარე 1709.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული 598.00 კვ.მ შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.239) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 50000 (ორმოცდაათიათასი) ლარი.

1.3. ვადაგაგრძელებულ ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №84 მდებარე 1709.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული 598.00 კვ.მ შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.239) ბიჯი განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%–ს ოდენობით.

1.4. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №84 მდებარე 1709.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული 598.00 კვ.მ შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.239) ვადაგაგრძელებულ ელექტრონულ აუქციონზე საგარანტიო თანხა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 20%–ს ოდენობით.

1.5. ვადაგაგრძელებულ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. თუ ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ირიცხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვალერიანე ფოცხვერია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი